# ო ყმაწვილო, მე შენ გასწავლი სიტყვებს: დაიმახსოვრე ალლაჰი და ის დაგიმახსოვრებს შენ. დაიმახსოვრე ის და იპოვი მას შენს წინ, როცა შესთხოვ, შესთხოვე ალლაჰს და როცა გჭირდება დახმარება, სთხოვე დახმარება მხოლოდ ალლაჰს

იბნ აბბასისგან(ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ერთხელ მე ვიჯექი შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უკან და მან მითხრა: «ო ყმაწვილო, მე შენ გასწავლი სიტყვებს: დაიმახსოვრე ალლაჰი და ის დაგიმახსოვრებს შენ. დაიმახსოვრე ის და იპოვი მას შენს წინ, როცა შესთხოვ, შესთხოვე ალლაჰს და როცა გჭირდება დახმარება, სთხოვე დახმარება მხოლოდ ალლაჰს, და იცოდე ყველა ხალხი, რომ შეიკრიბოს შენს დასახმარებლად ვერ დაგეხმარებიან იმაზე მეტს, რაც უკვე დაწერა ალლაჰმა შენთვის, და ყველა ხალხი რომ შეიკრიბოს შენს წინააღმდეგ, ვერ გავნებენ იმაზე მეტს, რაც უკვე დაწერა ალლაჰმა შეთვის, კალამი აწეულია და ფურცლები გამშრალი».

იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოგვცემს, რომ ერთხელ, როცა ის პატარა იყო და მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად მიემგზავრებოდა(მის უკან იჯდა) და, მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «ჭეშმარიტად, მე გასწავლი საქმეებსა და ცოდნას, რომელთა საშუალებითაც ალლაჰი მოგცემს სარგებელს: გახსოვდეს ალლაჰი, მის ბრძანებებზე მორჩილებით და მისი აკრძალვების თავიდან აცილებით, რათა ის ყოველთვის გხედავდეს მორჩილებისა და მასთან დაახლოვების გზაზე, და არა ცოდვებისა და დაუმორჩილებლობის გზაზე. თუ ასე მოიქცევი, ალლაჰი დაგიცავს უბედურებებისგან ამ ცხოვრებაში და მომდევნო ცხოვრებაში, და მოგანიჭებს მხარდაჭერასა და გამარჯვებას ყველა შენს მნიშვნელოვან საქმეში, საითკენაც არ უნდა წახვიდე. თუ რაიმეს თხოვნა მოგინდება, არავის სთხოვო გარდა ალლაჰისა, რადგან მხოლოდ ის ერთია, ვისაც შეუძლია უპასუხოს მთხოვნელს. თუ დახმარება მოგინდება არ სთხოვო ის არავის, გარდა ალლაჰისა. გქონდეს მტკიცე რწმენა და დარწმუნებულობა იმაში, რომ ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებ, თუნდაც დედამიწაზე ყველა ადამიანი გაერთიანდეს იმისთვის, რომ დახმარება გაგიწიოს, გარდა იმისა, რაც ალლაჰმა შენთვის დააწესა. და ვერავინ ვერაფერს გავნებს, თუნდაც ყველა ადამიანი გაერთიანდეს და შენს წინააღმდეგ ბოროტება მოინდომოს, გარდა იმისა, რაც ალლაჰმა შენთვის წინასწარ განსაზღვრა. და იცოდე, რომ ეს საქმე განსაზღვრულია ყოვლისშემძლე და დიდებული ალლაჰის მიერ, და მან ის თავისი სიბრძნისა და ცოდნის მიხედვით დააწესა. შეუძლებელია შეცვალო ის, რაც მან წინასწარ დაწერა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4811